ანგელოზების რწმენა

საბავშვო მოთხრობები რწმენა - 2

# ჩვენები

## არდადეგები სოფელში



# ჩვენები არდადეგები სოფელში

სელმა ავტობუსით მგზავრობის დასრულებას მოუთმენლად ელოდა.

- დედა, ვერ ჩავედით?

- ცოტალა დარჩა შვილო, თითქმის მივაღწიეთ, –უპასუხა დედამ

ავტობუსმა მთები, ყავისფერი გორაკები და მწვანე ველები გაიარა. ბოლოს, როგორც იქნა ქალაქს მიაღწიეს. სელმა და მისი დედიკო ავტობუსიდან ჩამოვიდნენ. ამის შემდეგ პატარა მინიბუსში ჩასხდნენ, რომელიც რაიონში მიდიოდა. სულ მიხვეულ–მოხვეული გზებით იარეს და სოფელს მიაღწიეს. მინიბუსი გაჩერდა. გარეთ ბებია და ბაბუა ელოდებოდნენ.



სელმა მაშინვე ბებიასთან გაიქცა და ჩაეხუტა. ბებიამ და ბაბუამ შვილიშვილი გულში ჩაიკრეს და მონატრებით აკოცეს. სელმას დედამაც მიესალმა მშობლებს და ხელზე აკოცა. სახლისკენ მიმავალი გზა ხილით დახუნძლულ და ყვავილებით მოფენილ ორღობეში გადიოდა. ყოველმხრივ ახალი სიცოცხლის სურნელი იფრქვეოდა. სელმასაც თვალები უბრწყინავდა. სახლის ჭიშკართან აკაციის ხეც ისეთივე მორთულობით შეეგებათ. ბებიას ბაღი ფერებისა და სასიამოვნო სურნელების სამფლობელოდ გადაქცეულიყო. სახლში თითქმის არაფერი იყო შეცვლილი. ოთახებს, ყველას ისევ თავიანთი სურნელება ჰქონდათ.

ბებიამ შვილიშვილს მოსიყვარულე თვალებით შეხედა და ჰკითხა:

- რამდენ ხანს აპირებთ დარჩენას, შვილო?



- ჯერ ახლახანს მოვედით, დედა.

- კი მაგრამ, ბოლოს მაინც წახვალთ ხომ?

ბებიას თვალები აუცრემლდა.

- ბაირამამდე დავრჩებით დედა, ნუ ნერვიულობ. ახლავე ხომ არ მივდივართ.

ბებიას სახე გაუბრწყინდა. შვილი და შვილიშვილი რომ მასთან იქნებოდნენ, მისთვის ბაირამი ნამდვილი დღესასწაული იქნებოდა. გულზე მოეშვა, მაშინვე წამოდგა და ადრიანად გამზადებული გემრიელი საჭმელები მოიტანა. ჭამის შემდეგ სელმა, მაშინვე სოფელში გაიქცა, რათა იქაური მეგობრები მოენახულებინა.

სელმა ჰულიას სახლში მივიდა. ჰულია მისი ყველაზე ახლო მეგობარი იყო. ჭიშკარი რომ გააღო უკანა ბაღიდან ძაღლის ყეფა შემოესმა. ჰულიამ გაიგო, რომ ეზოში ვიღაც უცხო შემოვიდა და გარეთ გამოიხედა. საყვარელი მეგობრის დანახვაზე ჰულია სირბილით გაიქცა.

- აა, სელმა, შენ ხარ? რა კარგია, რომ ჩამოხვედი!



ჰულიას თან გაუხარდა და თანაც გაოცებული იყო.

გოგონები ერთმანეთს გადაეხვივნენ.

იქვე კართან ხის სკამზე ჩამოსხდნენ. სელმას ხელში პატარა შეკვრა ჰქონდა. წამოსვლისას ჰულიას საჩუქარი წამოუღო. სელმას ძალიან უყვარდა საჩუქრების ჩუქება. ყოველ ზაფხულში მეგობრებისთვის საჩუქრები ჩამოჰქონდა.

- მიდი, გახსენი, ვნახოთ თუ მოგეწონება.

ჰულიას სიხარულის ღიმილი დასთამაშებდა.

- მადლობელი ვარ მეგობარო. ჰულიამ შეკვრა გახსნა და საჩუქარი ამოიღო. ეს იყო გვირილის ფორმის პატარა სამკაული.

- ძალიან მომეწონა სელმა. თქვა ჰულიამ და სამკაული მაშინვე გაიკეთა.

სელმა ძალიან კმაყოფილი იყო, რადგან ჰულიას საჩუქარი მოეწონა.

- ძალიან მოგიხდა. მშვიდობაში!



იქვე, მათ გვერდით ტყემლის ხე იდგა. სელმასთვის, მათ წინ მოსეირნე ქათმებიც  ძალიან სახალისო იყო. მთელი ზამთარი აქ არ ჩამოსულა და ძალაინ მონატრებოდა.

ცოტა ხანში ჰულიას დედაც მოვიდა. სელმა მაშინვე წამოხტა და ფათმა დეიდას ხელზე აკოცა, თან თავაზიანად მოიკითხა. ფატმა დეიდამაც სიყვარულით ჩაიკრა გულში.

- ბაღში ვაპირებდით წასვლას, შენც წამოდი სელმა.
- კარგი, წამოვალ,– მიუგო სელმამ.





ორი მეგობარი შეხვედრის სიხარულით ტკბებოდა. ისინი ერთად გაიქცნენ და სელმას დედისგან ნებართვა აიღეს. ჰილიას ოჯახის ყურძნის ბაღი სოფლის გარეთ იყო. ბაღს სხვადასხვა ხილის ხეები ჰქონდა შემოვლებული. ჰილიას დედა ბაღის შეწამლვით იყო დაკავებული. ჰულია და სელმა სხვადასხვა ხილს აგემოვნებდნენ. გოგონები სამხრობამდე ბაღში დარჩნენ და კარგად გახალისდნენ. უკან რომ ბრუნდებოდნენ სელმამ ჰულიას სთხოვა, ცოტა ხანი ჩვენთანაც ვითამაშოთო, ამიტომ ჰულიას დედისგანაც ნებართვა აიღეს.

გოგონები სელმას ბებიის ბაღშიც შევიდნენ. სწორედ ამ დროს წვიმის ორი წვეთი დაეცათ სახეზე. ამაზე გოგონებმა ცოტა მოიწყინეს და სახლის შესასვლელში ჩამოსხდნენ. კიბის საფეხურების მარმარილოს ზედაპირზე კოკისპირულად იღვრებოდა წვიმა. გოგონებმა წვიმის წყლით ხელები და ფეხები დაიბანეს. ისინი ჯერ განაბული უყურებდნენ წვიმას.

- წვიმა კარგი რამაა, ხომ? იკითხა სელმამ.

- დიახ, წვიმა წყალობააო, ამბობს მამაჩემი.

- წვიმის შემდეგ ცა გაიხსნება ხომ?

- რა კარგი იქნება სელმა. იმედია გაიხსნება.

- ჰულია, იცოდი, რომ არსებობენ ანგელოზები, რომლებიც წვიმას აწვიმებენ?



- დიახ, ვიცი. ბუნებრივ მოვლენებს ერთ-ერთი ანგელოზი მართავს, მაგრამ სახელი დამავიწყდა მისი.

- არც მე ვიცი მისი სახელი, თქვა სელმამ.

- მე სიკვდილის ანგელოზის სახელი ვიცი. მისი მოვალეობა ადამიანების სულების აღებაა. აზრაილს ეძახიან. არის კიდევ ჯებრაილი, ანგელოზი, რომელსაც შუამავლებთან ღვთიური ბრძანებები მოაქვს.



- ის თუ იცი მეგობარო, რომ არსებობენ ანგელოზები, რომლებიც ცოდვასა და მადლს აღწერენ? ისინი მუდმივად თან დაჰყვებიან თურმე ადამიანებს.

- სულ ჩვენთან არიან? გაუკვირდა ჰულიას.

ორი მეგობრის საუბრისას სელმას დეიდა იასემინი მივიდა მათთან.

- გამარჯობა გოგონებო, რას აკეთებთ?

- წვიმის გადაღებას ველოდებით დეიდა, უპასუხა სელმამ.

- იასემინ დეიდა, წვიმას რომ აწვიმებს იმ ანგელოზის სახელი იცი შენ? ჰკითხა ჰულიამ



- ვიცი ჰულია. მისი სახელია მიქაილი. ღმერთმა ოთხი დიდი ანგელოზი გააჩინა და მიქაილი ერთ-ერთი მათგანია.

- ანგელოზებს სულ მცირედი მოძრაობის და მათ შორის წვიმის წვეთების მიწამდე ჩამოღწევის უზრუნველყოფა ევალებათ.

- უფრო მეტიც, არსებობენ ანგელოზები, რომელბიც გალაქტიკების მოძრაობას აკონტროლებენ.

- როგორც ხედავთ, ამ ყველაფრის შესასრულებლად უთვალავი ანგელოზია დაკავებული.



- ჩვენ ჯებრაილი და აზრაილი ვიცით დეიდა, თქვა სელმამ.

- ყოჩაღ შვილო, ძალიან კარგია. მაგათ გარდა კიდევ არის ერთი ანგელოზი, რომელსაც ისრაფილი ჰქვია. მისი მოვალეობა წარღვნის დაწყება და ადამიანების ხელახლა გაცოცხლებაა. ადამიანებს კიდევ ორი ანგელოზი დაჰყვება თან. ისინი ცოდვასა და მადლს აღწერენ.

- ანგელოზები როგორი არსებები არიან დეიდა? იკითხა სელმამ.

- სამყაროში რაც კი არსებობს, ყველაფერი ღმერთმა შექმნა. ასევე მან გააჩინა ანგელოზებიც. თუმცა ჩვენ ანგელოზებს ვერ ვხედავთ.





- თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ისინი არ არსებობენ. ჩვენ ქარსაც ვერ ვხედავთ, მაგრამ ვიცით, რომ ის არსებობს. ზოგჯერ ხეებს გლეჯს და ხანაც სახურავებს ხდის. ასეთი დიდი ძალა აქვს ქარს, მაგრამ ჩვენს ვერ ვხედავთ.

- იგივე შეგვიძლია ვთქვათ ელექტროდენის შესახებ. ჩვენ მას ვიყენებთ, ერთი ხელის დაჭერით შუქს ვანთებთ, მაგრამ მას ვერ ვხედავთ. ას ეარ არის გოგონებო?

სელმამ და ჰულიამ თანხმობის ნიშნად თავები დაიქნიეს.

- თუმცა ჩვენ ყველამ ვიცით, რომ დენი არსებობს. ამასთანავე, ანგელოზების არსებობის შესახებ ღმერთი ყურანში გვეუბნება და ინფორმაციას გვაძლევს. ასევე, მათ შესახებ გვეუბნებოდა წმ. შუამავალი თავის ჰადისებში. ანგელოზებს სქესი არ გააჩნიათ. ისინი ღმერთის ბრძანებებს უნაკლოდ ასრულებენ და არასოდეს გადაუხვევენ. ე.ი. გოგონებო, ანგელოზებს რაც ევალებათ ზუსტად და უნაკლოდ ასრულებენ. ეს მათი განსაკუთრებული თვისებაა.



თუმცა ადამიანები ას ეარ არიან. ადამიანს თავისი სიკეთითა და ღვთისმოსაობით ანგელოზებზე მეტად შეუძლია ამაღლება. შეიძლება პირიქითაც მოხდეს, ცოდვითა და ბოროტებით ადამიანი შესაძლებელია უმდაბლეს არსებადაც გადაიქცეს. ანგელოზების მდგომარეობა კი სტაბილურად ერთნაირია. ანგელოზები სინათლისგან არიან შექმნილნი, ამიტომაც არ ჩანან. ისინი არც იკვებებიან და არც ბუნებრივ მოთხოვნილებებს განიცდიან. არც იღლებიან და არც გრძნობები გააჩნიათ.

- ზოგი ანგელოზების შესახებ უკვე იცით. გარდა ამისა, არსებობს სამოთხის მცველი ანგელოზი, რომელსაც რიდვანი ჰქვია და კიდევ ჯოჯოხეთის მცველი ანგელოზი–მალიქი.

წვიმის წვეთები ხეების ტოტებიდან დაბლა იღვრებოდა. ორი პატარა გოგონას სახეებზე ნათელი ღიმილი დასთამაშებდა.

- წმ. შუამავალი ამბობდა, რომ არსებობენ ანგელოზები, რომლებიც ადამიანების დაცვით არიან დაკავებულნი. ისინი, განსაკუთრებით მოხუცებსა და ბავშვებს იცავენ. ამით ჩანს, თუ რაოდენ მოწყალეა ალლაჰი.



- გარდა ამისა, ზოგი ანგელოზები ღვთისმსახურების ადგილებში არიან მივლენილნი, ხოლო ზოგი კი ყურანის მკითხველ ადამიანებთან არიან.

- სელმა, ეს რამდენი ანგელოზი ყოფილა! გაოცებულმა წამოიძახა ჰულიამ.

- ხო. ეს ყველაფერი მეც პირველად მესმის.

- ასეა გოგონებო, ღმერთი ერთ წვეთ წყალში მილიონობით არსებას აჩენს. რომ ისურვოს ამ წვიმის ყოველი წვეთის ოდენობით ანგელოზს გააჩენს. გარდა ამისა გოგონებო, არსებობენ ანგელოზები, რომელბიც გარდაცვლილ ადამიანებს საფლავში მიაკითხავენ და დაკითხავენ.

- ანგელოზების რწმენა თითოეული მორწმუნისათვის სავალდებულოა. ეს ისლამის ერთ-ერთი პირობაა.

გოგონების ასეთი ყურადღება იასემინ დეიდას ძალიან მოეწონა.



- გოგონებო, სულ დამავიწყდა, მე აქ იმისათვის მოვედი, რომ საჭმელზე მიმეპატიჟებინეთ. მოდით, შიგნით შევიდეთ.

- კარგი დეიდა. უთხრეს ბავშვებმა და წამოდგნენ.

- შეიძლება ამასობაში წვიმამაც გადაიღოს, თქვა ჯულიამ.

- გადაიღებს გოგონებო, ზაფხულის წვიმა ასეთია. მალე გადაიღებს. თანაც შეიძლება ცისარტყელაც გამოჩნდეს.

ორმა მეგობარმა ერთმანეთს შეხედა და გაიცინეს. წვიმის შემდეგ ისევ ბაღში გაიქეოდნენ სათამაშოდ.

